



2010 წლის 5-7 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი მურმან კვარაცხელია ლუბლინის უნივერსიტეტის მიწვევით იმყოფებოდა პოლონეთში, XI საერთაშორისო კონფერენციაზე “პარტნიორობა და თანამშრომლობა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში”. მასთან ერთად კონფერენციაზე იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი – ქ-ნი ნაზირა კაკულია. კონფერენცია ჩატარდა პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის მარშლის - ბრონისლავ კომაროვსკის, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის - რადოსლავ სიკორსკის, ლუბლინის მხარის გუბერნატორის ქრიშტოპ გრაბჩუკის და პოლონეთის ეკონომიკური საზოგადოების მთავარი სამმართველოს საპატიო პატრონაჟით.

პროფესორი მურმან კვარაცხელია კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრი გახლდათ. იგი ხელმძღვანელობდა ასევე, ერთ-ერთი სამეცნიერო სექციის მუშაობას. კონფერენცია 5 მაისს, მალახოვის სასახლეში გაიხსნა.

ბ-ნი მურმანი პლენარულ სესიაზე გამოვიდა მოხსენებით - “მსოფლიო გლობალური პროცესები და განვითარებადი ქვეყნები” (საქართველოს მაგალითზე). მოხსენებას დიდი რეზონანსი ჰქონდა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. გამოსვლის შესავალ ნაწილში პროფ. მ. კვარაცხელიამ საქართველოში აგვისტოს ომის პერიოდში პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის - ლეხ კაჩინსკის როლზე ისაუბრა და დამსწრე საზოგადოებას სამძიმარი გამოუცხადა. ამან კონფერენციაზე საოცრად დადებითი მუხტი შექმნა საქართველოს მცირე დელეგაციის მიმართ.

საქართველოში ანალოგიური კონფერენციის ჩატარების შემთხვევაში პოლონეთის კონფერენციის ბევრმა მონაწილემ ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა. კონფერენციის მსვლელობის პროცესში შედგა საქმიანი შეხვედრები პოლონეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.